

**წამახვილებული პრიზმული გარსების ზოგიერთი კლასისათვის
სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევა
ბორის მაისტრენკო**

ელ-ფოსტა: boris.maistrenko922@ens.tsu.edu.ge

მათემატიკა: მექანიკის დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ. 13

ანოტაცია

სხვადასხვა გეომეტრიის წამახვილებული დრეკადი პრიზმული გარსები და ღეროები გვხვდება სამშენებლო ნაგებობებში, ტურბინებში, საჭრელ დაზგებში, აერონავტიკაში და ა.შ. პრაქტიკული მნიშვნელობებიდან გამომდინარე, შესაბამის მათემატიკური მოდელებს მივყავართ გადაგვარებული ჩვეულებრივი და კერძოწარმოებულისანი დიფერენციალური განტოლებებისა და სისტემებისათვის ახალი, საზოგადოდ, არაკლასიკური ამოცანების გამოკვლევამდე. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან, აქტუალური და მნიშვნელოვანი იქნება მათი შესწავლის და ამოხსნის ანალიზური და რიცხვითი მეთოდების შემუშავება.

ნაშრომში გამოკვლეული იქნება ისეთი იერარქიული მოდელები, როცა პრიზმული გარსის პირით ზედაპირებზე მოცემულია გარსის პროექციასადმი ნორმალური ძაბვის ვექტორის კომპონენტები და გადაადგილების ვექტორის მხები კომპონენტები, ხოლო გარსის სისქე მისი პროექციის საზღვარზე ან მის ნაწილზე ნული ხდება, როგორც ხარისხოვანი ფუნქცია.